ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის

23.03.2017.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო") წარმოდგენილი თავმჯდომარის, ნოდარ ხადურის მიერ და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ზურაბ ვადაჭკორიას მიერ, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

1. მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
2. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
3. სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და კვალიფიციური კადრების მომზადება;
4. სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

მხარეები იმუშავებენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ);

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვ;

გ) დაგეგმავენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;

დ) თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს უსასყიდლოდ გამოიყენებენ თანამშრომლები და პროექტებში ჩართული სტუდენტები;

ე) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან სააგენტოში.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

4.1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.2. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ორი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ვადა.

4.5. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს კონკურენციის სააგენტო	**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**
მის.: აღმაშენებლის გამზ. N154	**მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. N 33**
ქალაქი თბილისი, საქართველო	**ქალაქი თბილისი, საქართველო**
---	---
ნოდარ ხადური	**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია**
თავმჯდომარე	**რექტორი**